საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

სამოქალაქო საზოგადოების შეფასება ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა, მე-3 ციკლი

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

2021 წლის 26 იანვარს 12:00 საათზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლის ფარგლებში გაეროს წევრი ქვეყნები ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას შეაფასებენ. წევრი სახელმწიფოები ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოს რეკომენდაციებს გაუზიარებენ. მოსმენა პირდაპირ ეთერში გადაიცემა - http://webtv.un.org/

გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მესამე ციკლის ფარგლებში ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესაფასებლად საქართველოში მოქმედი 11 არასამთავრობო ორგანიზაცია/კოალიცია ჩაერთო. სამოქალაქო სექტორმა მიმოიხილა არსებული გამოწვევები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით და რეკომენდაციებით მიმართა საერთაშორიო პარტნიორებსა და დიპლომატიურ კორპუსს, გაეროს წევრი ქვეყნების მიერ უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვაში რეკომენდაციების ასახვის მიზნით.

სამოქალაქო სექტორი საუბრობს შემდეგ თემებზე:

- პატიმართა უფლებები;
- ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები;
- რელიგიის თავისუფლება და მიგრანტთა უფლებები, რასიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ინსტიტუციური რეფორმების მხარდაჭერა სამართალდამცავ სისტემაში;
- სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა დაცვის გაძლიერება;
- სასამართლოს გათავისუფლება კლანური მმართველობისგან;
- ლგბტქი უფლებები საქართველოში - არსებული წინააღმდეგობების დაძლევა;
- ეთნიკური უმცირესობების უფლებები;
- სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების მნიშვნელობა;
- ქალთა უფლებრივი მდგომარეობა.

გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მიზანია გაეროს წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციების წარდგენით არსებული გარემოს გაუმჯობესება.

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მესამე ციკლის ფარგლებში განხოციელებული ონლაინ ადვოკატირების კამპანია მიმდინარეობდა UPR Info -სა და ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით.

რეკომენდაციები შემდეგმა ორგანიზაციებმა მოამზადეს:

სახალხო დამცველის ოფისი საქართველოში

კოალიცია „თანასწორობისთვის“

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)

ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)

პლატფორმა სალამი

ასოციაცია ჰერა XXI

Equality Now